



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ. მარნეული

30.01.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ტარიელ მამედოვი, არამ კარაპეტიანი, ნიკოლოზ მუმლაძე, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, თორნიკე გოგლიძე,

არ ესწრებოდა:

აკამედ იმამკულიევი, დავით ხუციშვილი, რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, გეიდარ მუსაევი, აივაზ ისკანდაროვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მერის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერის, მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1-2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტები „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლაშა ლობჯანიძემ. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია ქვემო ქართლში არამარტო მოსახლეობის რაოდენობით, არამედ შესრულებული სამუშაოებითაც. მარტო ის ფაქტი, რომ 2017 წელს ელექტრონული ბრუნვით მუნიციპალიტეტში შემოსულია 30 ათასზე მეტი კორესპოდენცია (წერილი, განცხადება) მეტყველებს იმაზე თუ რაოდენ პასუხსაგები ფუნქციები აკისრია მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურის თანამშრომლებს. აღინიშნა, რომ 2017 წელს ჩატარებულია საკრებულოს 26 სხდომა. მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე მიღებული დადგენილებები, რომლითაც დარეგულირდა როგორც მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირების, ასევე საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურება, არის დაბალანსებული და სრულად შეესაბამება როგორც „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე იმ ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, რაც აკისრია მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, ასევე საჯარო მოხელეებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკრებულოს წევრებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ რაიმე სახის ცვლილება შევიდეს დამტკიცებულ დადგენილებებში და საკრებულოს თავმჯდომარეს სთხოვეს დადგეს კენჭისყრაზე აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ვინაა თანახმა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 და N3 დადგენილებებში. კენჭისყრის შედეგად საკითხს არცერთმა დეპუტატმა არ დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი წავიდა 23 დეპუტატი, რის გამოც ძალაში დარჩა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 დადგენილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერის, მერიის

თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე